სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

44411558376422

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220191250

რეგისტრაციის თარიღი

24.02.2022 წ

ნოტარიუსი: ირმა შარვაძე
მისამართი: თბილისი, ჟ. შარტავას 42
ტელეფონი: 2238372

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი
ს ა ქ ა რ ო ფ ე ლ ო

მე, ნოტარიუს ირმა შარვაძეს ოცდაოთხ თებერვალს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ.შარტავას №42-ში, მომმართა **დავით ჩიჩუამ**, როგორც **შპს „ტერასა გრუპი"-ს (ს/ნ: 404536445) დირექტორმა,** რომელმაც განაცხადა, რომ სურს სანოტარო აქტის (მინდობილობის) შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთის საშუალებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მოქ: **დავით ჩიჩუამ** (დაბ. 18.04.1987 წ. პ/ნ: **19001032035; მცხ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ზუგდიდი, თბილისის ქუჩა, N 33**) მომმართა. შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მასზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები: საკუთრების მიმნდობს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან პირადად წაიკითხა ეს მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინადებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, დავით ჩიჩუა როგორც **შპს „ტერასა გრუპის"-ს (ს/ნ: 404536445) დირექტორი,** ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ **ლევან დარასელიას** (დაბ. 03.03.1978წ. პ/ნ: **19001000118**) დაიცვას და წარმოადგინოს საზოგადოება ნებისმიერ საბანკო დაწესებულებასთან ურთერთობაში. ამ მიზნით განახორციელოს შემდეგი ქმედებები: მართოს და განკარგოს საზოგადოების ნებისმიერი ანგარიში, გახსნას ქვეანგარიში მიმდინარე ანგარიშებზე ან გახსნას ნებისმიერ ბანკში საზოგადოების სახელით ნებისმიერი სახის ანგარიში, დახუროს ყველა და ნებისმიერი სახის საბანკო ანგარიშები და აწარმოოს ნებისმიერი საბანკო ოპერაცია, მათ შორის თანხის გატანა, თანხის შეტანა, გადარიცხვა, კონვერტაცია, ასევე ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს/ ხელშეკრულებას/ შეთანხმებას / თანხმობას და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია მოცემული დავალების შესრულებასთან. ისარგებლოს ინტერნეტ ან/და მობაილ ბანკით, გახსნას/დაარეგისტრიროს ინტერნეტ და მობაილ ბანკი, მიიღოს პაროლოები რათა შემდგომ ისარგებლოს მობაილ ან და ინტერნეტ ბანით. ისარგებლოს დიჯიპასით ამასათანავე შეცვალოს ან/და გააუქმოს დიჯიპასი, მიიღოს/ისარგებლოს დიჯიპასი. დარეგისტრიროს, მართოს, ისარგებლოს, შეცვალოს ან/და გააუქმოს ნებისმიერი სახის საბანკო პროდუქტი/ სერვისი (მათ შორის ელექტრონული სერვისები, საკრედიტო ბარათის მიღება, სესხი, სეხის უზრუნველსაყოფად იპოთეკის დადება მიმდობის ქონებაზე და იპოთეკაზე თანხმობის განცხადება, სესხის ან/და სამომხმარებლო კრედიტის, თუ საკრედიტო ბარათის აღების პირობები განსაზღვროს მისი შეხედულებისამებრ ერთპიროვნულად და მოაწეროს ხელი ნებისმიერ ხელშეკრულებას თუ თანხმობას ხელი, გასცეს ნებისმიერი დავალება ამ მიზნით და ა.შ); ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს/ ხელშეკრულებას/ შეთანხმებას და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია მოცემული დავალების შესრულებასთან, გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია (მათ შორის ცნობა, ამონაწერი, თანხმობა და ასშ.).

იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდულ პირთან ურთერთობაში. ამ მიზნით: აწარმოოს მოლაპარაკებები და დადოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება, მათ შორის იყიდოს საზოგადოების სახელით ნებისმიერი ქონება და ნასყიდობის პირობები შეათანხმოს მისი შეხედულებისამებრ, ასევე დადოს წინარე ნასყიდობის შეთანხმება ან წინასწარი შეთანხმება, გასცეს ნებისმიერ საკითხზე თანხმობები საზოგადოების სახელით, დადოს ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდულ პირთან სასესხო ხელშეკრულებები და პირობები შეათანხმოს მისი შეხედულებისამებრ, უზრუნველყოს აღებული სესხები და მოაწეროს ხელი მასთან დაკავშირებულ ყველა ხელშეკრულებას, თანხმობას, დოკუმენტს ხელი, შეასრულოს ნებისმიერი სახის ვალდებულება. გასცეს ნებისმიერი სახის თანხმობა.

განკარგოს საზოგადოების ყველა უძრავი და მოძრავი ქონება მისი შეხედულებისამებრ. ამ მიზნით: გაყიდოს, გაცვალოს, იპოთეკით დატვირთოს, აიღოს ვალდებულებები, გასცეს თანხმობები ნებისმიერ საზოგადოების ქონებასთან მიმართებით. მათ შორის, გაყიდვის დროს დაარეგისტრიროს იგი მარეგისტრირებელ ორგანოში, შეიტანოს განცხადება, მოაწეროს ხელი ნებისმიერ საბუთს, გადაიხადოს ნებისმიერი მოსაკრებელი, გასცეს თანხმობები, იყოს წარმომადგენელი სანოტარო ბიუროში, განავითაროს უძრავ/მოძრავი ქონება და ამ მიზნით: დაიქირავოს ქვეკონტრაქტორი, გასცეს დავალებები, აიღოს ვალდებულებები, ჰქონდეს ურთერთობა ისეთ ადმინისტრაციულ თუ კერძო ორგანოებთან რომელთა კომპეტანციაშიც არის არქიტექტრული პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის აღება, პროექტის კორექტირება, დემონტაში, გაბარიტებში ცვლილება, იერსახის შეცვლა და ამ მიზნით აიღოს ნებისმიერი ვალდებულება, შეიტანოს განცხადებები, მოითხოვოს ნებისმიერი მოქმედების შესრულება, ჩააბაროს ნებისმიერი აზომვითი ნახაზი, გასცეს ნებისმიერი საპროექტო თანხმობა, მიიღოს მშენებლობის/დემონტაჟის ნებართვა, განახორციელოს ნებართვის აღებული ვალდებულება.

განკარგოს კომპანიებში არსებული საზოგადოების ნებისმიერი წილი და გამოვიდეს პარტნიორებთან ან/და მესამე პირებთან ურთერთობაში საზოგადოების სახელით, რაც გულისხმობს:

გაყიდოს საზოგადოების ნებისმიერ კომპანიაში არსებული ნებისმიერი ოდენობის წილი და ხელშეკრულების ნებისმიერი პუნქტი თუ პირობა განსაზღვროს მისი ხელშეკრულებისამებრ, განსაზღვროს მისი შეხედულებისამებრ ნებისმიერი ფინანსური პირობა და მხარე რომელთანაც აპირებს დადოს ნასყიდობა, დაარეგისტრიროს ნასყიდობის ხელშეკრულება და მოაწეროს ხელი მას. იყიდოს ნებისმიერი კომპანიის წილი და ამ ქმედების განსახორციელებლად დადოს ნებისმიერი ნასყიდობის ხელშეკრულება, აიღოს ნებისმიერი ვალდებულება, დამარეგისტრიროს წილის მესაკუთრედ შესაბამის ორგანოში. პარტნიორთა კრებაზე გამოვიდეს საზოგადოების სახელით და გასცეს ნებისმიერი თანხმობა ან უარყოს პარტნიორთა შემოთავაზებები, განახორციელოს საზოგადოების უფლებამოსილებები როგორც პარტნიორის მისი შეხედულებისამებრ, მოაწეროს ხელი კრების ოქმებს და დაარეგისტრიროს ისინი შესაბამის ორგანოში.

გადაიფორმოს ან იყიდოს ან ჩუქებით მიიღოს საზოგადოების საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავი თუ მოძრავი ქონება და კომპანიებში არსებული წილები.

გამოვიდეს საზოგადოების სახელით სანოტარო ბიუროში და/ან ნებისმიერ საჯარო თუ კერძო ორგანოსთან ნებისმიერ საკითხზე და მოაწეროს ხელი ნებისმიერ ხელშეკრულებას ხელი, გასცეს თანხმობები, შეიტანოს განცხადებები, გასცეს დავალებები, მიიღოს შესრულებული ვალდებულება, ჩაიაბროს წერილი თუ განცხადებაზე პაუსი.

არავინ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მინდობილის უფლებამოსილებანი, იმის გამო, რომ წინამდებარე მინდობილობაში მინდობილის უფლებამოსილებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. მინდობილი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მიმდობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

მინდობილი ვალდებულია მიმდობის მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით. მიმდობს მიაწოდოს ცნობები დავალებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს ანაგარიში.

მინდობილობა გაცემულია 2023 წლის 26 (ოცდაექვს) იანვრამდე.

მინდობილობა გაცემულია გადანდობის უფლებით.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ირმა შარვაძის არქივში.

გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 10,00 (ათი) ლარი, დღგ 1,80 (ერთი მთელი ოთხმოცი მეასედი) ლარი, რეგისტრაციის საფასური 2,00 (ორი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29.12.2011 წ. №507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურებისვადების დამტკიცების შესახებ") 31-ე და 39-ე მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა.

მიმნდობი: ----------

ნოტარიუსი ----------